# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/226

ქ. თბილისი 5 სექტემბერი 2018

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში

მოხსენებითი ბარათის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მატემატიკის დეპარტამენტის უფროსის, პროფ. დავით ნატრაშვილის მოხსენებითი ბარათი 28-06/18 №01-09-33/3452 და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 სექტემბრის № 01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში მოწვეულ იქნენ: ირინე სიგუა, ლიდა ბერიძე და ციალა ბუჩუკური ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე თითოეული 400 საათიანი დატვირთვით ახალი სასწავლო წლიდან 12 თვით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** ფრანგიშვილი

**აკადემიური საბჭოს მდივანი** გ. სალუქვაძე